

1) სამოქალაქო სამართლის ცნება და მოქმედების სფერო

კონტინენტური ევროპის სამართალი, რომელსაც ქართული სამართალიც მიეკუთვნება, სამართალს ორ ნაწილად ყოფს - კერძო და საჯარო სამართლად. სამართლის ის ნაწილი რომელიც კერძო პირთა შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს იწოდება კერძო სამართლად. ამ ურთიერთობებს საფუძვლად უდევს პირთა თავისუფალი ნების გამოვლენა და სხვა პირებთან ურთიერთობის დამყარების სურვილი.

სამოქალაქო სამართლის ცნება და მისი რეგულირების სფერო ზოგადად განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის პირველ მუხლში, რომლის თანახმად სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. სამოქალაქო სამართალით მოწესრიგებული ურთიერთობების უმეტესობა ქონებრივი ხასიათისაა. ეს ურთიერთობები წარმოიშობა საჯარო სამართალშიც, მაგრამ მათ სამოქალაქო საგნად კვალიფიკაციისათვის აკლიათ კერძო ხასიათი და პირთა თანასწორუფლებიანობა და პირიქით თუკი სახელმწიფო იყენებს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ წესებსა და ურთიერთობათა სტანდარტებს, მაშინ მიუხედავად სახელმწიფოს მონაწილეობისა, ეს ურთიერთობები იქნება კერძო სამართლებრივი.

პირველი მუხლი ხაზს უსვამს, რომ სამოქალაქო კოდექსი საოჯახო ურთიერთობესაც აწესრიგებს. თავისი ბუნებით საოჯახო ურთიერთობები შეიძლება იყოს პირადიც და ქონებრივიც. სამოქალაქო სამართალით მოწესრიგებული ურთიერთობათა ჩამონათვალი სრულდება პირადი ურთიერთობებით, მათში უპირველეს ყოვლისა იგულისხმება სახელის, პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციისა და ა.შ დაცვა. პირად ურთიერთობებს განეკუთვნება ავტორობის უფლებიდან წარმოშობილი ურთიერთობებიც.

2) ფიზიკურ პირთა შეზღუდული ქმედუნარიანობა

ასაკობრივი საფეხრების მიხედვით ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობას განსაზღვრავს თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი. ქმედუნარიანობა იწყება სრულწლოვნების მიღწევისთანავე. შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ქმედუნაროა, შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. მართალია, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ გარიგების დადებისთვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ მიუხედავად ამისა ცალკეულ შემთხვევებში იგი უფლებს მოსილია დამოუკიდებლად დადოს გარიგებები, ეს მნიშვნელოვნად განასხვავებს მას ქმედუნარო პირისაგან. გარიგება, რომლითაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იღებს სარგებელს, არ მოითხოვს წარმომადგენლის თანხმობას. აღიარებული შეხედულების თანახმად, როცა გარიგებას დებს არასრულწლოვანი, საკითხი იმის შესახებ ამ გარიგებამ სარგებელი მოუტანა თუ არა მას უნდა გადაწყვიტოს მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, შეფასებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მხოლოდ ეკონომიური მხარე, არამედ პედაგოგიური ასპექტიც.

არასრულწლოვანის მიერ დადებული ნამდვილი გარიგებების ჯგუფს მიეკუთვნება გარიგებები, რომელთა დასადებად არასრულწლოვანმა განკარგა ის საშუალებანი, რომელიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან, წარმომადგენლების თანხმობით, სხვა პირებმა.

ყველა სხვა გარიგება, რომელთაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ჩაითვლება ბათილად. თუმცა ეს ბათილობა სწორდება კანონიერი წარმომადგენლის მოწონებით, ე.ი თუ კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ დადებულ გარიგებას, ეს გარიგება გახდება ნამდვილი ამიტომ ეს გარიგებები განეკუთვნება ან საცილო გარიგებებს ან მერყევად ბათილ გარიგებებს.

ასევე შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს აყენებს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. ქმედუნარიანობას მას უზღუდავს სასამართლო.

#2

1) კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა

სამართალი ორ ნაწილად იყოფა - კერძო და საჯარო სამართლად. კერძო და საჯარო სამართალი არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებული. კერძო და საჯარო სამართლის ურთერთგამიჯვნის პრობლემამ წარმოშვა განსხვავებული თეორიები, მათგან ყველაზე გავრცელებულია ინტერესების, სუბიექტებისა და სუბორდინაციის თეორიები. ინტერესების თეორიების მიხედვით გამიჯვნისათვის გადამწყვეტია ის თვისი ინტერესები სარგებლობს უპირატესობით სამართლებრივი რეგულირებისას, მაგრამ აქარსებობს ერთი გარემოება, კერძო და საჯარო პირებსაც შეუძლიათ ერთმანეთის ინტერესებს ემსახურებოდნენ. სუბორდინაციის თეორიის თანახმად საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელია ურთიერთდაქვემდებარება ურთიერთობებში, მაშინ როდესაც კერძო სამართალი აწესრიგებს თანასწორუფლებიანთა შორის ურთიერთობებს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება რომ კერძო სამართალშიც არსებობს ურთიერთდაქვემდებარებული ურთიერთობები და პირიქით საჯაროში - თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული ურთიერთობები. სუბორდინაციული თეორიის მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს ისიც რომ იგი საერთოდ იგნორირებას უკეთებს საჯარო-სახელმწიფო სამართალს. რაც შეეხება სუბიექტების თეორიას, სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად საფუძვლად უდევს ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა სტატუსი, უფრო ზუსტად ის, თურა უფლებამოსილება აქვს ურთიერთობის მონაწილეს. სუბიექტების თეორიიდან განვითარდა სპეციალური თეორია, რომლის თანახმად საჯარო სამართალი არის სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური სამართალი, ხოლო კერძო სამართალი - ზოგადი სამართალი ყველასთვის.

2) ასაკისა და ჯანმრთელობის გამო ქმედუნარი პირები

ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით

შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა) წარმოიშობა სრულწლოვნების მიღწევისთანავე. შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ქმედუნაროა

ქმედუნარო პირები კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უშუალოდ არ მონაწილეობენ, მათ მიერ ან მათ მიმართ გამოვლენილი ნება უცილოდ ბათილია. პირის უნარს საკუთარი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს უფლებები და მოვალეობები, სამოქალაქო სამართალი უკავშირებს არა მხოლოდ ასაკს, არამედ ჯანმრთელობას. სამოქალაქო კოდექსი პირის ქმედუნაროდ ცნობის საფუძვლად მიიჩნევს ჭკუასუსტობას ან ავადმყოფობის გამო ხდება პირის მიჩნევა ქმედუნაროდ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს პირი სრულწლოვანია თუ არა. ქმედუნაროდ პირის აღიარებას ამ შემთხვევაში საფუძვლად უდევს მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ შემთხვევაში პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე). ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობიდან გამო პირის ქმედუნაროდ მიჩნევა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. არც ერთი სხვა სახელმწიფო ორგანო არაა უფლებამოსილი ქმედუნაროდ ცნოს პირი. ავადმყოფობის გამო ქმედუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაშიც მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი აღიაროს პირი კვლავ ქმედუნარიად.

#3

1) სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია საქართველოში

1997 წ. 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამოქალაქო კოდექსი. კოდექსი უნდა ყოფილიყო ის ხიდი, რომელსაც უნდა დაეკავშირებინა საქართველო დასავლეთის კულტურულ სამყაროსთან. სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელობა დიდია ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელიც კერძო საკუთრებას, სამეწარმეო საქმიანობისა და ხელშეკრულების თავისუფლებას აღიარებს. შემთხვევით არ უწოდებენ მას ეკონომიკური ცხოვრების კონსტიტუციასაც.

სამოქალაქო კოდექსის შექმნის აუცილებლობა სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც იქნა დანახული, ამ საქმეში ინიციატივა რუსეთმა აიღო ხელში. კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოც მიიწვიეს. იმავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობას, რომელსაც სათავეში ედგა ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი როლფ კნიპერი. ქართულ ენაზე შედგენილი სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნაწილები ითარგმნა გერმანულად, რათა გერმანელ კოლეგებს ექსპერტიზა ჩაეტარებინათ. ამ ტექსტის ექსპერტიზის საფუძველზე გერმანელი კოლეგების მიერ შემუშავდა კოდექსის ახალი ვარიანტი. სამოქალაქო კოდექსი არ დაწერილა როგორც გარდამავალი ეპოქის კანონი, იგი იქმნებოდა როგორც გარდამავალი ეპოქის კანონი, რომელსაც ათასწლეულებისთვის უნდა გაეძლო.

კოდექსის ტექსტის პროექტზე მუშაობა გრძელდებოდა პარლამენტშიც, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე საქართველოში ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობის ქართველი იურისტები, სამოქალაქო

კოდექსმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ცივილისტიკის განვითარებას, მან სრულიად მოაწესრიგა იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსი და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მრავალი სხვა საკითხი.

2) უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება.

ადამიანის უფლებაუნარიანობის შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ ერთადერთ იურიდიულ ფაქტს - გარდაცვალებას. გარდაცვალების დამადასტურებელ საბუთს, როგორც წესი, წარმოადგენს გარდაცვალების მოწმობა და სათანადო ჩანაწერი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში. გარდაცვალება არა მხოლოდ უფლებაუნარიანობის შეწყვეტას იწვევს არამედ მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგის დადგომის საფუძველიცაა, კერძოდ იხსნება მემკვიდრეობა. 22-ემუხლის პირველი ნაწილის მიხედვით პირი გარდაცვლილად შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამასთან, გარდაცვლილად გამოცხადება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ: 1) ამ პირის საცხოვრებელ ადგილას 5 წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ 2) იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც სიკვდილს უქადდა 3) სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და 6 თვის განმავლობაში არ მოიპოვებოდა ცნობები მის შესახებ.

პირი რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით სასამართლო წესით გარდაცვლილად შეიძლება გამოცხადდეს არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან. პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს თავის გადაწყვეტილებას, დაბრუნებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.

განსხვავებულია ვითარება როცა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება სასყიდლით შეიძინა მესამე პირმა. ქონების უკან დაბრუნების ვალდებულება მას ეკისრება მხოლოდ ერთ შემთხვევაში - თუ მან იცოდა რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო. თუ პირის ქონება სახელმწიფოს გადაეცა და ამ უკანასკნელმა მოახდინა მისი რეალიზაცია, გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ქონების რექლიზაციით მიღებული თანხა.

პირის გამოხადებას გარდაცვლილად წინ უსწრებს მისი აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება უნდა მოხდეს ორი გარემოების არსებობისას: პირის ადგილსამყოფელი უნდა იყოს უცნობი და ორი წლის მანძილზე არ უნდა იყოს ნამყოფი თავის საცხოვრებელ ადგილას. ეს პირობები კუმულატიურია ე.ი აუცილებლად უნდა არსებობდეს ორივე პირობა. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პირის კანონიერი მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვლოდ დაკარგულის ქონება

მართონ მინდობილი საკუთრების სახით,მათ შორის მიიღონ სარგებელი. ამ ქონებიდან სარჩო მიეცემა უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირს და ავე დაიფარება ვალები. პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აგმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ.

#4

1) სამოქალაქო სამართლის წყაროები.

სამართლის წყარო არის სამართლის გამოხატვის ფორმა , საშუალება.კონტინენტური ევროპის სამართალი სამოქალაქო სამართლის წყაროთა ორ სახეს განამტკიცებს - სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონსა და ჩვეულებას. ლიტერატურასა და ზოგჯერ საკანონმდებლო აქტებშიც კანონის ცნება ფართო გაგებით გამოიყენება და მასში იგულისხმება არა მხოლოდ საკუთრივ კანონი არამედ ნებისმიერი სახელმწიფო აქტი, რომელიც სამართლის ნორმებს შეიცავს, ასეთ აქტს ეწოდება ნორმატიული აქტი. რაც შეეხება ჩვეულებით სამართალს, იგი წარმოიშობა საზოგადოების მიერ ხანგრძლივი გამოყენებისა და ხალხის მართლშეგნებაში მისი ნორმების დამკვიდრების შედეგად. სამართლის წყაროთა იერარქია დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოთა ლეგიტიმაციის დონეზე, მათი კომპეტენციის მოცულობაზე,რაც განსაზღვრავს ამა თუ იმ აქტის იურიდიულ ძალას.ამ იერარქიის სათავეში დგას კონსტიტუცია - ქვეყნის ძირითადი კანონი.

კონტინენტური ევროპის სამართალში კანონი სამართლის უნთავრესი წყაროა. ერთმანეთისაგან განასხვავებენ კანონის ფორმალურ და მატერიალურ გაგებას. ფორმალური გაგებით კანონად მიიჩნევა მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები. მატერიალური გაგებით კი კანონად ჩაითვლება ყველა ის ნორმატიული აქტი, მათ შორის კანონებიც, რომლებიც სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერაა მიღებული.ამ გაგებით ერთმანეთისაგან განსხვავდება საკანონმდებლო აქტები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. როდესაც საუბარია სამოქალაქო სამართლის წყაროებზე, იქ ,რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სამოქალაქო კოდექსის დიდი მნიშვნელობა მაგრამ იურიდიული ძალის მიხედვით ის ისეთივე კანონია, როგორც სხვა ნებისმიერი კანონი

2) შეცდომით დადებული გარიგებანი, შეცდომის სახეები

შეცდომის შესახებ თანამედროვე მოძღვრების ამოყალიბება უკავშირდება სავინის სახელს. მის თანახმად, შეცდომით განხორციელებული ნების გამოვლენა არ არის ნამდვილი, ვინაიდან ამ გარეგნული გამოხატულების უკან არ დგას ნამდვილი ნება.

ნების ნაკლმა შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. კანონი გარიგების საცილოდ გახდომის საფუძვლად მიიჩნევს მხოლოდ არსებით შეცდომას. შეცდომით დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დაწვრილებითაა მოწესრიგებული.კანონი პრაქტიკულად იძლევა არსებით შეცდომათა ამომწურავ ჩამონათვალს. 1) შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში - პირს სურდა და ედო სხვა გაირგება და არა ის რომელზედაც მან გამოთვა თანხმობა 2) შეცდომნა გარიგების შინაარში - პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში რომლის დადებაც მას სურდა 3) შეცდომა გარიგების

საფუძველში - გარიგების საფუძველად უნდა მივიჩნიოთ გარიგების მხარეების ერთობლივი წარმოდგენები იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ მხარეები გარიგებას. ამ შემთხვევაში შეცდომის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ გარიგების მხარეები კეთილსინდისიერად ენდობიან ამ გარემოებების არსებობას. გარიგების დადების შემდეგ კი აღმოჩნდება რომ ეს გარემოებები არ არსებობდა. არსებით შეცდომად ასევე შეიძლება ჩიათვალოს შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში, მაშინ როდესაც თვითონ კონტრაქტის პიროვნების ან მისი პირადი თვისების გათვალისწინება იყო გარიგების დადების საფუძველი. გარიგების შეცვლის საფუძველი შეიძლება გახდეს შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში ასეთად კი მიიჩნევა ის თვისება რომელიც საფუძველად დაედო საგნის ღირებულების განსაზღვრას. შეცდომა უფლებაში - უფლებაში შეცდომა გულისხმობს პირის არასწორ წარმოდგენას მის მიერ დადებული გარიგების უფლებრივ შედეგებზე. კერძოდ, გარიგების დადებისას პირი ცდებოდა ან არ ეგონა თუ მის მიერ გარეგნულად გამოხატული ნება ასეთ შედეგს გამოიწვევდა. შეცდომა უფლებაში არსებითი მნიშვნელობისაა მხოლოდ მაშინ თუკი იგი გარიგების დადების ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო.

შეცდომა მოტივში - გარიგების დადებისას მოტივი ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გარიგების მოტივებს განეკუთვნება ისეთი წარმოდგენები, რომელსაც გარიგების ერთ-ერთი მონაწილე იქმნის გარიგების სხვა მონაწილეზე ან გარიგების საგნის თვისებების თაობაზე. ის არსებითად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა. წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებაში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში იძლევა მხოლოდ შესწორების მაგრამ არა შეცვილების უფლებას.

#5

1) სამოქალაქო კოდექსის სისტემა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა პანდექტური სამართლის სისტემას შეესაბამება. მას აქვს ზოგადი ნაწილი, რომელიც საერთოა მთელი კერძო სამართლისთვის. სამოქალაქო კოდექსი 6 წიგნისაგან შედგება: ზოგადი დებულებანი, სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი.

ზოგადი ნაწილი არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ სამართლებრივი მატერიის ზოგად დებულებებს ე.ი იმას რასაც ეყრდნობა მოცემული სისტემა. იმის მიხედვით თუ რას ეხება საქმე შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ზოგადი ნაწილი. ყველაზე დიდ როლს თამაშობს ის ზოგადი ნაწილი რომელიც საერთოა მთლი დარგისთვის ასეთი ზოგადი ნაწილი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის პირველ წიგნში.

სამოქალაქო კოდექსი იცნობს ზეპირი ნაწილის მეორე სახეს, რომელიც განმტკიცებულია კოდექსის ცალკეულ წიგნებში და პირველ ყოვლისა საფუძველს ქმნის ამ წიგნით გათვალისწინებული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. (მაგ. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი) ზოგადი ნაწილის მესამე სახე დამახასიათებელია

კონკრეტული ინსტიტუტებისთვის და მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამ ინსტიტუტებისათვის შემოიფარგლება, ამის მაგალითია ზოგადი დებულებანი ვალდებულების შესრულების ნაწილში. ამ სახის ზოგადი ნაწილი შეიძლება ეხებოდეს ცალკეულ ხელშეკრულებებსაც.

2) წარმომადგენლობის ცნება და მისი ნამდვილობის პირობები

ადამიანები ხშირად ურთიერთობებში სხივის სახელით გამოდიან, კისრულობენ ვალდებულებებს, იძენენ უფლებებს. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვაგვარ იყოს, ერთ შემთხვევაში ურთიერთობის მონაწილეა თოთო ბავშვი, რომელსაც თავისი მოქმედებით ჯერ კიდევ არ შეუძლია არაფრის გაკეთება. სხვა შემთხვევაში სულით ავადმყოფობა ან ჭკუასუსტობა ხდება ქმედუუნარობის საფუძველი და ამ სახის ურთიერთობებში ვხვდებით ისეთ პირებს, რომლებიც მათი სახელით დებენ გაირგებებს.

წარმომადგენლობის ინსტიტუტი ასახავს ისეთ ვითარებას, როდესაც პირი საკუთარი სახელით კი არა, არამედ სხივის სახელით დებს გარიგებას, სხივის სახელით მოქმედ პირს წარმომადგენელი ეწოდება, ხოლო მის უფლებამოსილებას წარადგინოს სხვა პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს იმის შესაძლებლობას, რომ გარიგება წარმომადგენლის მეშვეობითაც დაიდოს. სამოქალაქო სამართალში აღიარებულია, რომ გარიგება ხორციელდება წარმომადგენლის პიროვნებაში, ხოლო შდეგები კი წარმოდგენილი პირის მიმართ დგება. სამოქალაქო კოდექსი წარმომადგენლობის ნამდვილობის შემდეგ წინაპირობებს განამტკიცებს 1) წარმომადგენლობა დასაშვები უნდა იყოს მოცემული გარიგებისთვის 2) წარმომადგენელი გამოხატავს საკუთარ ნებას სხვისი სახელით 3) მას უნდა ჰქონდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

წარმომადგენლობა შეიძლება ყველა სახის ურთიერთობასა და გარიგების მიმართ იქნეს გამოყენებული, მაგრამ არსებობს გამონაკლისები, ის არ გამოიყენება მაშინ, როცა გარიგების ხარისხიდან გამომდინარე იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან როცა კანონით აკრძალულია წარმომადგენლის მეშვეობით ამ გარიგების დადება. მაგ. დაქორწინება ისეთი გარიგებაა, რომელიც უშუალოდ დასაქორწინებლებმა უნდა დადონ.

წარმომადგენელი უნდა იყოს ქმედუუნარიანი, მაგრამ კანონი არ მოითხოვს მის სრულ ქმედუუნარიანობას, წარმომადგენელი შეიძლება იყოს შეზღუდული ქმედუუნარიანობის მქონე პირი. მის მიერ დადებული გარიგება ნადვილად ჩაითვლება

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა წარმომადგენლობის ნამდვილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს გარიგება - მინდობილობის გაცემა, მასში გამოიხატება კონკრეტული პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება. თუ წარმომადგენელი ვერ დაამტკიცებს რომ მას აქვს წარმომადგენლობითი უფლება ის ვალდებულია შეასრულოს ყველა ნაკისრი ვალდებულება და ასევე აანაზღაუროს ზარალი.

1) სამოქალაქო კანონთა განმარტება, მეთოდები, კანონისა და სამართლის ანალოგია

თანამედროვე ცხოვრებისეული ურთიერთობები იმდენად რთულია, რომ მათი მოწესრიგება შეუძლებელია რამდენიმე ისეთი მარტივი წინადადებით, რომლის გაგება საზოგადოების უკანასკნელ წევრსაც კი შეეძლება. აუცილებელი გახდა კანონთა განმარტება, იურისტების ერთ-ერთი მოვალეობაა გაარკვიოს საზოგადოება თანამედროვე რთულ სოციალურ თუ საკანონმდებლო ლაბირინთებში. კანონთა განმარტება გარკვეულ პრინციპებს ემყარება მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია 1) ობიექტურობის პრინციპი - მისი არსი იმაში მდგომარეობს რომ მაქსიმალურად ზუსტად დაადგინოს კანონის ჭეშმარიტი არსი კანონის ტექსტის საფუძველზე 2) ერთიანობის პრინციპი - კანონის თითოეული ნორმა განხილული უნდა იყოს მთლიან კანონთან ერთად და არა ცალკე 3) გენეტიკური განმარტების პრინციპი - ტექსტის განმარტებისას უნდა გაივითვალისწინოთ მისი წარმოშობა 4) განმარტება შედარებების მეშვეობით - განმარტება ხდება ანალოგიურ სფეროსა და დროში წარმოშობილ კანონთა ტექსტების ურთიერთშფარდების საფუძველზე.

ახსნა-განმარტების ხერხებია : გრამატიკული, ლოგიკური, სისტემატიკური, ისტორიულ - პოლიტიკურ იმ სპეციალურ-იურიდიული, ფუნქციონალური. ფართო გაგებით განმარტება სამართლის განვითარებასაც ნიშნავს მას მიეკუთვნება 1) ნორმების ჩამოყალიბება ანალოგიის საფუძველზე 2) ნორმების განვითარება ზოგადი დებულებებიდან, როგორცაა რწმენა, ნდობა, ზნეობა და ა.შ

როდესაც კანონი ბუნდოვანია, ხარვეზი აქვს ან არ არსებობს საქმის სათანადო ნორმა გამოყენებული უნდა იყოს ანალოგიური, ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, ამას კანონის ანალოგია ეწოდება. მაგრამ როცა არ არსებობს ანალოგიური ნორმა ამ შემთხვევაში ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზენობის მოთხოვნების შესაბამისად.

2) იძულებით დადებული გარიგებანი

ნების ნაკლის გამო დადებულ გარიგებებს შორის ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენს იძულებით დადებული გარიგებები. იძულებას შედეგად მოყვება ადამიანის ნების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება. იძულება შეიხლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, ერთ შემთხვევაში ის შეიძლება არსებობდეს ფიზიკური ზემოქმედების ფორმით მაგ. როდესაც პირს ძალადობით აწერინებენ ხელს ხელშეკრულებაზე. ხვა შემთხვევაში ის შეიძლება იყოს როგორც ფარული, ასევე აშკარა მუქარა. მუქარა შეიძლება მიმართული იყოს როგორც პირადად კონკრეტულ პირზე, ისე მის ქონებაზე. 85-ე მუხლის თანახმად იძულებით ან იძულების მუქარით დადებული გარიგებების შეცილების უფლება აქვს ხელყოფილ პირს. იძულებად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც საშუალებით.

მუქარის საფუძველზე დადებული გარიგების შეცილებისას აუცილებელია რომ

მუქარასა და გარიგებას შორის იყოს მიზეზობრივი კავშირი. ამასთან არ არის სავალდებულო რომ მუქარა გარიგების მონაწილისგან მოდიოდეს, ის შეიძლება მომდინარეობდეს მესამე პირისგან.

იძულებით დადებული გარიგება წარმოადგენს საცილო გარიგებას და მის მიმართაც შეცილების ისეთივე წესი მოქმედებს რაც მოტყუებისა და შეცდომის დროს. იძულება გარიგების დადებისად ავტომატურად არ იწვევს გარიგების ბათილობას, ბათილობა მხოლოდ შეცილების შედეგად დგება. იძულებით დადებულ გარიგებებს შეცილების ერთწლიანი ვადა აითვლება იძულების დამთავრების მომენტიდან, თუ ასეთ გარიგებას ზიანი მოჰყვა უფლებამოსილ პირს შეუძლია ზარალის ანაზღაურება მოითხოვოს.

#7

2) არასამეწარმეო იურიდიული პირის სამეწარმეო საქმიანობა

არაკომერციული იურიდიული პირი იქმნება იდეალური, საქველმოქმედო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული ამოცანების განსახორციელებლად. სამოქალაქო კოდექსი არაკომერციულ იურიდიულ პირს ანიჭებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებას. თუკი არაკომერციული იურიდიულ პირებს აკრძალვოდათ სამეწარმეო საქმიანობა მათი არსებობა აზრს დაკარგავდა, ხოლო დასახული მიზანი ფინანდების არარსებობის გამო მიუწვდომელი დარჩებოდა. არასამეწარმეო იურიდიულ პირებს აქვთ უფლება განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა, მაგრამ ეს საქმიანობა გარკვეულ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს 1) მათ მიერ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობა დამხმარე ხასიათის უნდა იყოს და მისგან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო იურიდიული პირის მიზნის რეალიზებას 2) დაშვებულია მოგების განაწილება იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებსა და ხელმძღვანელებს შორის. არაკომერციული იურიდიული პირის ქონება წილებად არ იყოფა და არც მათი გასხვისებაა შესაძლებელი. არაკომერციული იურიდიული პირის წვრი თავის წევრობას სხვა პირს ვერ მიჰყიდის.

არასამეწარმეო იურიდიული პირიდან წევრის გასვლას ქონებრივი შდეგი არ მოსდევს. მისი სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია

#8

1) სამოქალაქო სამართლის ობიექტები

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი - ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შიძლება შეუზღუდავად თუკი ის აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

სამოქალაქო კოდექსი ობიექტებს ორ დიდ ჯგუფად ყოფს - ნივთებად და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებად. ნივთები პიროვნულობას მოკლებული, ბრუნვაუნარიანი, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული, ნატურით გამიჯნული და სხეულებრივად ერთიანი

საგნებია. ნივთებს განეკუთვნება ისეთი საგნები, რომელთა ფლობა, სარგებლობა, განკარგვა და შექმნა შესაძლებელია მართლზომიერად, ამდენად სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ნივთების ნორმატიულ ცნებას, რაც იმას ნიშნავს რომ ყველა სხეულებრივი საგანი არ წარმოადგენს ნივთს, რადგანაც მართლწესრიგი მას ასეთად არ მიიჩნევს. მაგ, ადამიანი ან მისი სხეული, მიუხედავად იმისა, რომ ის გარეგნულად აკმაყოფილებს სხეულებრივი საგნის ყველა თვისებას არ წარმოადგენს ნივთს, ასევე ადამიანის სხეულის ნაწილები ვიდრე ისინი ცოცხალი ორგანიზმის ნაწილს შეადგენენ, ამ ორგანიზმიდან მოშორებისა და გარიგების დადების მომენტიდან ისინი ნივთებად ითვლებიან. ასევე ნივთებს არ მიეკუთვნება მატერიალური სამყაროს ისეთი საგნები რომელთა ფლობა და განკარგვა შეუძლებელია თუნდაც ისინი სხეულებრივ საგნებს წარმოადგენდნენ მაგ. ღრუბელი, პლანეტები.

ნივთები იყოფა მოძრავ და უძრავ ნივთებად, უძრავი ნივთი ეს არის მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა ნაგებობებით ან ის გარეშე. მოძრავია ნებისმიერი მივთი რომელიც სამოქალაქო კოდექსით არ არს უძრავი - განმარტებულია კანონში საჯარო რეესტრის შესახებ. მოძრავი ნივთები შეიძლება იყოს მკვრივი, თხევადი ან აირადი თუკი ისინი სამოქალაქო ბრუნვისათვის გამოსადეგ სათავსოში აირან მოთავსებული მაგ ბენზინი ავზში.

ნივთებთან ერთად სამოქალაქო ურთიერთობათა ობიექტი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, რომელთაგან სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს მოთხოვნებსა და უფლებებს. იმისათვის რო მმოთხოვნები და უფლებები არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ ჩაითვალოს შესაძლებელი უნდა იყოს მათი გადაცემა სხვა პირისთვის, ან მათგან მატერიალური სარგებლის მიღება. უფლებებს განეკუთვნება საავტორო და მომიჯნავე უფლებები, ასევე უფლებები სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე (პატენტი), სასელექციო უფლებები. არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს მიეკუთვნება ასევე მოთხოვნები რომელთა გადაცემა და დაგირავება შესაძლებელია. სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტად განიხილება ასევე ნივთისა და უფლების ნაყოფი.

2) გარიგების ცნება

კერძო ავტონომიის განხორციელების ყველაზე გავრცელებული საშუალებას სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს გარიგება. გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივის, მრავალმხრივი ნების გამოვლენა. ამით სამოქალაქო კოდექსი გარიგების რეგულირების ნების თორიას უჭრს მხარს. ამ დეფინიციის თანახმად გარდა იმისა რომ ნება უნდა არსებობდეს, აუცილებელია ეს ნება გარეგნულად იყოს გამოვლენილი. გარიგებად რომ იქნეს მიჩნეული ნების გამოვლენა სამართლებრივი ხასიათის უდნა იყოს ანუ მას შედეგად უნდა მოჰყვეს კერძოსამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა ან არსებულის შეცვლა, გაუქმება. ნების გამოვლენა გარიგების განსაზღვრის ფუნდამენტია.

გარიგების ცნება კერძო სამართლის უზოგადესი ცნებაა. ის გამოიყენება არა მარტო სამოქალაქო სამართალში, არამედ კერძო სამართლის სხვა დარგებშიც, ამიტომ გარიგებებთან დაკავშირებული ნორმები, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილშია მოცემული ვრცელდება ყველა სახის კერძოსამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელსაც ნების გამოვლენა უდევს საფუძვლად. გარიგება არის ნების გამოვლენა, რომელიც

კერძოსამართლებრივი ურთიერთობების საფუძველია. ეს არის ნების გამოვლენა, რომელიც განსაზღვრულ ქმედებებს უდევს საფუძვლად და ერთობლიობაში იწვევს სამართლებრივი შდგის დადგომას, მაგრამ არა ყველა ნების გამოვლენა და მასთან დაკავშირებული ქმედება წარმოადგენს გარიგებას. სამოქალაქო სამართალში არის შემთხვევები როდესაც რაიმე ქმედება გავს გარიგებას მაგრამ არ წარმოადგენს მას. მაგ. დამატებითი ვადის დანიშვნა, ზნეობრივი ვალდებულებები.

#9

1) *სამოქალაქო უფლების განხორციელების ფარგლები*

სამოქალაქო უფლება კერძოსამართლის სუბიექტებისთვის კანონით მინიჭებული შესაძლებლობაა, რომელიც კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე მათ შეუძლიათ გამოიყენონ თავისუფლად და საკუთარი შეხედულებისამებრ, მაგრამ ეს თავისუფლება შეუზღუდავი არ არის და მართლწესრიგი მისი განხორციელების გონივრულ და სამართლებრივ ფარგლებს აწესებს. სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, ანუ უფლებამოსილმა პირმა უნდა დაიცვას კანონით დადგენილი წესი. უფლების განხორციელების ფარგლები ხშირად განპირობებულია ამ უფლების საგნით. სამოქალაქო უფლების ფარგლების შეფასებისას მნიშვნეოვანია მასთან დაკავშირებული ან მისი კონკურენტი უფლების შინაარსისა და საგნის შემოწმებაც უნდა დაზუსტდეს თუ რამდენად შეესაბამება ერთი პირის მიერ უფლების განხორციელება მეორე პირის უფლებას.

სამოქალაქო კოდექსი კრძალავს უფლებათა ბოროტად გამოყენებას, შიკანა ნიშნავს უფლების გამოყენებას მართლ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. მოქმედების შიკანად დაკვალიფიცირებისათვის გადამწყვეტია პირისი განძრახვა, რომ მისი ქმედების ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა სხვისთვის ზიანის მიყენება. უფლების ბოროტად გამოყენება გარიგების ბათილად ცნობის საფუძველიც შეიძლება იყოს. ამრიგად, იმისთვის რომ უფლების განხორციელება არ ჩაითვალოს ბოროტად გამოყენებად, აუცილებელია უფლებამოსილ პირს ჰქონდეს დაცვის ღირსი სამართლებრივი ინტერესი უფლების განხორციელებისას, ამ შემთხვევაში თუნდაც მეორე მხარე არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდეს, ქმედება არ ჩაითვლება უფლების ბოროტად გამოყენებად.

2) *მოტყუებით დადებული გარიგებანი*

ნების გამოვლენის თავისუფლება შეიძლება ხელყოფილი იქნეს გარიგების კონტრაქტის განზრახვი მოქმედებით - მოტყუებით. მოტყუებას საფუძვლად უდევს გარიგების პარტნიორის შეგნებული მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ნების გამომვლენის შეყვანას შეცდომაში. მოტყუების დროს დაზარალებულ მხარეს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა და ზიანის ანაზღაურება. მოტყუება შეიძლება განმოხატოს ისე როგორც აქტიურ მოქმედებაში, ისე იმ მონაცემების დამალვაში რომელიც გარიგების მხარეს უნდა შეეტყობინებინა მეორე მხარისათვის.

მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობისათვის არ აქვს მნიშვნელობა იმას , მოტყუება უშუალოდ გარიგების საგან ეხება თუ სხვა გარემოებებს რომლებსაც შეიძლება გავლენა მოეხდინა გარიგების მონაწილის ნებაზე. არც იმას აქვს მნიშვნელობა მოტყუება გამოგონილი და არარსებული ფაქტებით თუ არსებული ფაქტების არასრული შეტყობინებით ხდება. არის შემთხვევები როცა არასწორი ფაქტები უშუალოდ გარიგების მონაწილისგან კი არ მოდის არამედ მესამე პირისაგან მომდინარეობს.

მოტყუებით დადებულ გარიგების შემთხვევაში საქმე გვაქვს საციო გარიგებასთან, ე.ი ისეთ გარიგებასთან რომელიც ნამდვილია იქამდე სანამ მისი მონაწილეები არ მოითხოვენ გარიგების ბათილობას. როდესაც მოტყუებით დადებულ გარიგებებს ზიანი მოყვა ამ ზიანის ანაზღაურება დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს როგორც მოტყუების ნორმების საფუძველზე, ისე დელიქტური სამართლის ნორმების საფუძველზე

#10

1)სამოქალაქო უფლების ცნება და სახეები, შექენისა და შეწყვეტის საფუძველები.

სამოქალაქო უფლება არის სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისათვის მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება დაიცვას საკუთარი ინტერესები,მათ შორის სასამართლოს მეშვეობით. სამართლებრივი ბუნებისა და მოქმედების მიხედვით სამოქალაქო უფლებები გამსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ისინი იყოფა აბსოლუტურ და რელატიურ (ფარდობით) უფლებებად. აბსოლუტური უფლებების თავისებურება იმაში მდგომარეობს,რომ ის მოქმედებს ნებისმიერი მესამე პირის მიმართ ვინც ამ უფლებას ხელყოფს. რელატიური უფლებები მოქმედებენ მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.

აბსოლუტურ უფლებებზე არ ვრცელდება სასარჩელო ვადა, მაშინ როცა რელატიური უფლებები ექვემდებარება სასარჩელო ხანდაზმულობას. აბსოლუტურ უფლებებს განეკუთვნება : პირადი უფლებები, პირადი საოჯახო უფლებები და ნივთსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე ბატონობის უფლება. რელატიურ უფლებებს მიეკუთვნება :მოთხოვნები,ამჭურველი უფლებები.

სამოქალაქო სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავდება უფლებების პირველადი და ნაწარმოები (დერივატიული) შექენა. უფლების პირველადი წარმოშობა სამოქალაქო სამართალში გამონაკლისს წარმოადგენს, მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს ,რომ მას საფუძველად არ უდევს გარიგება. უფლების პირველადი წარმოშობის შემთხვევებია : საკუთრების შექენა განძზე, საკუთრების შექენა ხანდაზმულობით და ა.შ

უფრო გავრცელებულია უფლებათა ნაწარმოები წარმოშობა. ამ დროს უფლების გადსვლა შემქენზე ხდება წინამორბედი პირისაგან, რომელსაც ეს უფლება გააჩნდა. უფლების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც გაირგება ისე კანონი.სამოქალაქო უფლებები როგორც წესი გადაცემადი უფლებებია. განსაკუთრებით ეხება ეს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებს.იმის მიხედვით თუ რა წარმოადგენს უფლების გადაცემის ობიექტს უფლებათა გადაცემის წესი კანონით შეიძლება განსხვავებულად

დაგინდეს . უფლებათა გადაცემა არ შეეხება პირად უფლებებს , რომლებიც კონკრეტულ პირთან ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებული რომ მის გარეშე არსებობას წყვეტენ.

სამართლებრივი პრაქტიკისთვის ასევე მნიშვნელოვანია უფლებათ შეწყვეტის საკითხი. უფლების შეწყვეტის საფუძვლები გარიგებით განსაზღვრება ან კანონით არის დადგენილი. კანონის საფუძველზე უფლების შეწყვეტა , როგორც წესი განსაზღვრული მიზნის მიღწევას უკავშირდება ან თუკი საუბარია პირად უფლებაზე , მაშინ უფლების შეწყვეტას იწვევს პირის გარდაცვალება. უფლების შეწყვეტის მიზეზი ასევე შეიძლება გახდეს იმ ნივთის დაღუპვა რომელზეც ეს უფლება არსებობდა ან იმ ვადის გასვლა რომლითაც ეს უფლება იყო დადგენილი.

2) საჯარო სამართლის იურიდიული პირების სპეციალური უფლებაუნარიანობა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა სპეციალურია, 25-ე მუხლის მიხედვით საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა. სპეციალური უფლებაუნარიანობის დარღვევით დადებული გარიგებები ბათილია და მესამე პირს არ შეუძლია მიუთითოს, რომ მისთვის უცნობი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლები, მის მიმართ არ გამოიყენება ნორმები კეთილსინდისიერი შეძენის შესახებ.

საჯარო სამართალი იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის ხასიათს მათ მიერ განხორციელებული ამოცანების ბუნება განსაზღვრავს, უფლებაუნარიანობის მოცულობა კი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გამოცემულ სპეციალურ აქტზე, რომელიც ამტკიცებს ამ სუბიექტის საქმიანობის მიზნებს. საჯარო სამართალი იურიდიული პირების არც შქმნა და არც მათი საქმიანობა კერძო სამართლის ,მათ შორის სამოქალაქო სამართლის . მოწესრიგების სფეროს არ შეადგენს , ეს საჯარო სამართლის საქმეა, მაგრამ კერძო სამართალი აღიარებს საჯარო სამართლის იურიდიული პირებს სამოქალაქო სამართლის სუბიექტად. რაც შეეხება მათ უფლებაუნარიანობის მოცულობას მას განსაზღვრავს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ ან სახელმწიფოს ადმინისტრაციული აქტი ან სხვა დამფუძნებელი დოკუმენტები.

#11

1) ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა , ანუ უნარი, იყოს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. მართალია უფლებაუნარიანობა დაბადებისთანავე იწყება, მაგრამ სამოქალაქო სამართალი ზოგიერთ შემთხვევაში იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ინტერესებს. სამოქალაქო სამართალი

იცავს ჩანასახის იმ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც მას დაბადების შემთხვევაში წარმოეშობა. იურიდიული ფიქციის გზით აღიარებენ რომ ამ შემთხვევაში ნაყოფიც უფლებაუნარიანია, მაგრამ ეს უფლებაუნარიანობა შეზღუდულია ვინაიდან ეხება მხოლოდ უფლებებს ისე რომ მას არ შეიძლება დაეკისროს მოვალეობები.

სამოქალაქო სამართალში აღიარებული აზრის თანახმად, უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მოქალაქეობას. სამოქალაქო კოდექსი უფლებაუნარიანობას უკავშირებს ადამიანის დაბადების ფაქტს და არა მოქალაქეობის მიღებასა და დაკარგვას. კერძო სამართალი არც პოლიტიკურ შეხედულებებს და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ გაერთიანებებში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს რაიმე მნიშვნელობას. პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე არც რასა და რელიგია თამაშობენ რაიმე როლს უფლებაუნარიანობის განსაზღვრისას. უფლებაუნარიანობა აქვს ყველას, ვისაც ცოცხალი ადამიანი შეიძლება ეწოდოს, უფლება კი მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთერთობიდან წარმოიშობა და როგორც წესი ამ ურთერთობის მონაწილეს აქვს. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით, გარდაცვალების მომენტად კი ითვლება ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

2) საჯარო სამართლის იურიდიული პირები

საჯარო სამართლის იურიდიული პირები მოწესრიგებულია კანონში საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ. საჯარო სამართლის უპირველესი იურიდიული პირი თვით სახელმწიფოა. სამოქალაქო სამართლებრივ ურთერთობებში ის ისევე მონაწილეობს, როგორც ნებისმიერი სხვა - კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფო იურიდიული პირია და ურთერთობებში გამოდის მისი ორგანოების მეშვეობით, ისინი ახორციელებენ სახელმწიფო საქმიანობას კონკრეტულ სფეროებში. ეს ორგანოები, როგორც წესი არ არიან იურიდიული პირები. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას სხვა მრავალი იურიდიული პირი იმის მიხედვით, თუ რა ამოცანების განხორციელება მოუწევთ მათ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მეორე ჯგუფს შეადგენენ საჯარო სამართლებრივი კორპორაციები. მათ განეკუთვნება თვითმმართველობის ორგანოები. საჯარო სამართლებრივ კორპორაციებს განეკუთვნება ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო სახსრებით სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებენ. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ასევე მიეკუთვნებიან სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც ასევე სახელმწიფო ფუნქციას ასრულებენ. კიდევ ერთ ჯგუფს ქმნიან საჯარო სამართლებრივი დაწესებულებები. დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა იცნობს ე.წ საჯარო სამართლებრივ ფონდების ცნებას. ეს არის განსაზღვრული საჯარო მიზნებისთვის გათვალისწინებული ქონება, რომელიც იმართება სახელმწიფოს მიერ. საჯარო სამართლის ყველა ამ იურიდიულ პირს ახასიათებს ერთი საერთო ნიშანი, ყველა იქმნება საგანმკარგულებლო წესით, ანუ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც ადმინისტრაციული აქტის

საფუძველზე არ წარმოიშობიან, წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიები. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს ასევე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. მის ამ სტატუსს განამტკიცებს კონსტიტუცია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და არც შეიძლება იყოს . მათი უფლებაუნარიანობა სპეციალურია, ისინი უფლებამოსილი არიან განახორციელონ კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.

#12

1) ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა

ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით ადამიანი ქმედუნარიანობას დაბადებისთანავე არ იძენს, ქმედუნარიანობა ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ გარემოებასთან , ასეთ სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოებებს წარმოადგენს ასაკი და ჯანმრთელობა. ქმედუნარიანობა იწყება სრულწლოვნების ასაკის მიღწევისთანავე, სრულწლოვანად ითვლება 18 წლის პირი. შვიდ წლამდე ასაკის მცირეწლოვანი ქმედუნაროა , ხოლო შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია ემანსიპაციის ინსტიტუტი. ეს ის შემთხვევაა როდესაც პირს ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვნების ასაკამდე, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას სამართალი მას უთანაბრებს სრულწლოვან პირებს. სამოქალაქო კოდექსი ასეთ ორ პირობას ითვალისწინებს : 1) როდესაც 18 წლამდე პირი იქორწინებს. ქორწინების ასაკად დადგენილია 18 წელი, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში ქორწინება დაიშვება 16 წლიდან. 2) 16 წლის ასაკს მიღწეული პირი შეიძლება მიჩნეული იქნეს შეუზღუდავ ქმედუნარიანად, თუ კანონიერი წარმომადგენელი მას მიანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას.

სამოქალაქო სამართალი ქმედუნარიანობას უკავშირებს არა მხოლოდ ასაკს , არამედ ჯანმრთელობასაც. ადამიანი შეიძლება იყოს სრულწლოვანი მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევდეს მას ნორმალური განსჯის უნარს. „ჯანმრთელობის ცნება“ არ გულისხმობს პირის ფიზიკურ მდგომარეობას, ფიზიკურ ნაკლს , ეს არ შეიძლება გახდეს ქმედუნარიანობის საფუძველი, ასეთად სამოქალაქო კოდექსი მიიჩნევს სულით ავადმყოფობას ან ჭკუასუსტობას.

2) იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, რომლის ერთიან ცნებას განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსი, იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხი

განსხვავებულად არის მოწესრიგებული იმის მიხედვით , კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან გვაქვს საქმე. კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ გამოიყენება ზოგადი უფლებაუნარიანობა, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ - სპეციალური უფლებაუნარიანობა. კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობა. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

ცხადია რომ იურიდიულ პირებს განსხვავებით ფიზიკური პირებისაგან თვითონ არ შეუძლიათ მოქმედებების განხორციელება, ამისათვის აუცილებელია ფიზიკური პირები რომლებიც იურიდიული პირის სახელით განახორციელებენ შესაბამის მოქმედებას. ორგანული თეორიის მიხედვით იურიდიული პირის ქმედუნარიანობა ხორციელდება მისივე ორგანოების მეშვეობით

#13

1) იურიდიული პირის ცნება და ნიშნები

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისივე ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. იურიდიული პირი არის ორგანიზებული წარმონაქმნი და შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ყველა იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს ასევე კანონით განსაზღვრული საორგანიზაციო-სტრუქტურული მართვის ორგანოები.

იურიდიულ პირს ახასიათებს გარკვეული ნიშნები. განსაზღვრული მიზნის მიღწევა იურიდიული პირის ერთ-ერთი კონსტიტუციური ნიშანია, მისი დამფუძნებლები ყოველთვის რაიმეს მიღწევას ისახავენ მიზნად, ამ მიზნის განსაზღვრისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სამართლებრივად მნიშვნელოვანი მიზანი და იურიდიული პირის მონაწილეთათვის მნიშვნელოვანი მიზანი. ასევე მიზანი არ უნდა იყოს ერთჯერადი, ერთი მოქმედებით მისაღწევი. იგი უნდა მოითხოვდესარ ორგანიზებული წარმონაქმნის არსებობას ხანგრძლივი ვადით. ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს საკუთარი ქონების ქონის უნარი. ფაქტობრივად აქვს თუ არა იურიდიულ პირს ქონება არ არის გადამწყვეტი, მთავარია რომ ეს ქონება განცალკევებული უნდა იყოს წევრთა პირადი ქონებისაგან. დამოუკიდებელი ქონების არსებობა უკავშირდება იურიდიული პირის დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. უზოგადესი პრინციპის თანახმად , იურიდიული პირი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს თავისი ქონებით და არა მონაწილეების ქონებით.

სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის გაიოლებისა და სხვა

მონაწილეებისაგან განსხვავების უზრუნველსაყოფად იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი. ეს ნიშანი ანიჭებს მას შესაძლებლობას შეიზინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, დადოს გარიგებები და ა.შ. მისი მემკვიდრით ხდება სამართლის ამ სუბიექტის ინდივიდუალიზება და იდენტიფიკაცია.

სამოქალაქო სამართალი იურიდიული პირების წარმოშობას უკავშირებს რეგისტრაციის ფაქტს, მათ რეგისტრაციას აწარმოებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული პირის არსებობის ფუძემდებლური წინაპირობა კი მაინც საკანონმდებლო ლეგიტიმაციაა.

2) გარიგების სახეები

გარიგების ერთ-ერთი სახეა ცალმხრივი გარიგება, ეს ისეთი გარიგებაა რომლის ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. გამოყოფენ ცალმხრივი გარიგების სამ ჯგუფს: პირველ ჯგუფს განეკუთვნება ცალმხრივი გარიგებები, რომელიც მხოლოდ მოქმედ ე.ი ნების გამომვლენ პირს ეხება. მეორე ჯგუფს შეადგენენ გარიგებები, რომლებიც იურიდიულ ძალას იძენენ მხოლოდ ერთი პირის მიერ ნების გამოვლენის შედეგად, მაგრამ უფლებრივ, ქონებრივ და სხვა უპირატესობებს ანიჭებენ მესამე პირს. ასეთი გარიგების კლასიკური მაგალითია ანდერძი და მინდობილობის გაცემა. მესამე ჯგუფს წარმოადგენენ ისეთი გარიგებები, რომლის დროსაც გარიგება, მართალია, მესამე პირს ეხება, მაგრამ შესაძლებელია მან სამართლებრივი ზიანი მოუტანოს მათ.

უფრო გავრცელებულია ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები. ორმხრივი გარიგების მაგალითია ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადებისას ორივე ნების გამოვლენა შინაარსობრივად უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ამას კონსენსუსი ეწოდება, მის გარეშე ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება. თავის მხრივ ხელშეკრულება იყოფა ორმხრივ და ცალმხრივ ხელშეკრულებებად. მრავალმხრივი გარიგებების გავრცელებული ფორმაა გადაწყვეტილებები, რომლებიც პირთა უმრავლესობის მიერ მიიღება. არსებითი რაც მას ხელშეკრულებისგან განასხვავებს კონსენსუსის არასავალდებულოობაა.

მაველდებულებელი გარიგებებს კატეგორიას განეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომელთა საფუძველზეც პირი კისრულობს სხვათა წინაშე ველდებულებას შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედებისაგან. განკარგვითი გარიგებების მიზანია უკვე არსებულ უფლებაზე ზემოქმედება - მისი შეცვლა, გადაცემა სხვისთვის, უფლებრივი დატვირთვა ან უფლების გაუქმება. გარიგებები ასევე შეიძლება დავეყოს კაუზალურ და აბსტრაქტულ გარიგებებად. კაუზალურია გარიგება რომელსაც არ აქვს კონკრეტული ხელშესახები სამართლებრივი საფუძველი - მიზანი. ხოლო აბსტრაქტული გარიგებების დროს, კაუზალურისგან განსხვავებით, მნიშვნელობა არ აქვს სამართლებრივ საფუძველს, გარიგების ნამდვილობა დამოუკიდებელია ამ სამართლებრივი საფუძველის ნამდვილობისგან.

ასევე განასხვავებენ სასყიდლიან და უსასყიდლო გარიგებებს. სასყიდლიანად ჩაითვლება ის გარიგება, რომელშიც ერთ მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებას მეესაბამება მეორე მხარის საპასუხო შესრულება - ეკვივალენტი. უსასყიდლო გარიგების დროს

გარიგების მხარე კისრულობს რაიმე ვალდებულების შესრულებას, მაგრამ მას არ ახლავს თან საპასუხო ქმედება.

#14

1) თეორიები იურიდიული პირის შესახებ

2) ნების გამოვლენის ცნება და მისი განმარტება.

ნების გამოვლენა, როგორც „ქმედობა“ ან ნებელობითი აქტი, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ნებით განსაზღვრულ მოქმედებას ან უმოქმედობას. ქმედობად და არც ნების გამოვლენად არ ჩაითვლება გამოთქმა რომელსაც ადამიანი ძილში, ნარკოზში ან ცნობიერების გამომრიცხველი სხვა გარემოებების გავლენით აკეთებს. ნება უნდა გამომდინარეობდეს ადამიანის ცნობიერებიდან და არ უნდა წარმოადგენდეს მექანიკურ, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ აქტს. ნებამ რომ ნების გამოვლენის ხასათი მიიღოს უნდა იყოს სამართლებრივად ვარგისი, მიზნად უნდა ისახავდეს სამართლებრივ შედეგს და წარმოადგენდეს ამ შედეგის მიღწევის უშუალო საფუძველს. იმისათვის, რომ ნების გამოვლენამ დასახულ სამართლებრივ შედეგს მიიღწოს იგი უნდა გაკეთდეს გერკვევით, არაორაზროვნად.

მრავალი გარემოებებით შეიძლება იყოს წარმოშობილი გარეგნულად გამოხატული აზრის სხვადასხვაგვარად გაგება. აქედან წარმოიშობა გამოვლენილი ნებათა კონფლიქტი და ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგებს ნების გამოვლენის განმარტებას. ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი,საექვო აზრის დაზუსტება. ნების გამოვლენის განმარტების დროს განმარტების საგანს წარმოადგენს არა გარიგების მხარეების მიერ აღქმული ან გამოხატული მნიშვნელობა არამედ თვითონ ნების გამოვლენა. განმარტების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა ყველა გარემოება საქმესთან დაკავშირებით, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც უშუალო კავშირშია მოცემული ნების გამოვლენასთან ესენია: დრო, ადგილი პირობები და ა.შ

#15

1) არასამეწარმეო იურიდიული პირი

ყველა ორგანიზაცია, რომლის მიზანიც არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაა უნდა ჩამოყალიბდეს არაკომერციული იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით.

არაკომერციული იურიდიული პირები მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსში,ის შეიძლება დაფუძნებული იყოს წევრობაზე და ასევე ქონების გაერთიანების საფუძველზე. არაკომერციული იურიდიული პირი შეიძლება დაფუძნოს ერთმა პირმაც.დამუშნებელი შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე იურიდიული პირი.

დაფუძნებისათვის აუცილებელია წერილობითი სადამფუძნებლო დოკუმენტი, რომელსაც ყველა დამფუძნებელი აწერს ხელს. იგი უნდა შეიცავდეს არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებას, რომლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია „არასამეწარმეო იურიდიული პირი“. არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება არ უნდა ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებულ არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებას. იურიდიული მისამართი მისი იდენტიფიკაციის აუცილებელი ნიშანია, იურიდიულ პირს რეგისტრაციისას მოეთხოვება ცნობა იურიდიული მისამართის შესახებ. იურიდიული პირის ადგილსამყოფელად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი. ყველა სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება ფილიალად. სასურველია სადამფუძნებლო დოკუმენტში საქმიანობის მიზნის განსაზღვრაც, რაც მის ხელმძღვანელებს საქმიანობის ფარგლებს უწესებს, რითაც წევრებს მათზე კონტროლის საშუალება ეძლევათ. სადამფუძნებლო დოკუმენტი ასევე უნდა შეიცავდეს პირად მონაცემებს არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლების , ხელმძღვანელი და წარმომადგენლაზე უფლებამოსილების მქონე პირების შესახებ. უნდა განისაზღვროს იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოების სახელწოდებები,მათი შექმნის წესი და უფლებამოსილების ვადა , წევრად მიღების , წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესები. სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა გაფორმდეს წერილობით და სასურველია სანოტარო წესით დამოწმდეს.

2) კანონის, ზნეობისა და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებანი

გარიგება ბათილად შეიძლება იქნეს მიჩნეული არა მხოლოდ იმის გამო , რომ ნება რომელიც უდევს მას საფუძველად არასწორადაა გამოვლენილი. ბათილობის მიზეზი შეიძლება იყოს ის , რომ გარიგების მონაწილეთა გამოვლენილი ნება ეწინააღმდეგება კანონს, კანონით დადგენილ ნორმებს. კანონები რომლის დარღვევაც გარიგების ბათილობას იწვევენ კერძოსამართლებრივი ხასიათი გააჩნიათ. როგორც წესი,ისინი პირდაპირ მიუთითებენ რომ მოცემული წესის დარღვევით დადებული გარიგება ბათილია. ამკრძალავი ნორმები არც სამოქალაქო კოდექსისთვისაა უცხო. როგორც წესი, ამკრძალავი კანონების უდიდესი ნაწილი სამოქალაქო სამართლის ფარგლებს გარეთ იმყოფება და უპირველეს ყოვლისა, საჯარო სამართალში.ეს იმით აიხსნება რომ კერძო სამართალი უფრო თავისუფლების მიმნიჭებელი სამართალია , საჯარო კი პირიქით უფრო შეზღუდვების.

თუ გარგების აღიარება კანონსაწინააღმდეგოდ შედარებით მარტივია,ვიაიდან შეფსების საზომად გამოიყენება ნორმატიული მასალა,ზნეობის საწინააღმდეგოდ მათი მიჩნევა არცთუ იოლია. პირველ რიგში ეს უკავ შირდება ზნეობის გაგებას, ვინაიდან ის მეტად აბსტრაქტულია ,აღიარებულია კონკრეტულ საზოგადოებაში გაბატონებული

მორალი. ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი ზნეობრივი ღირებულებები, რომელთა დაცვას ის თავის წევრებს კატეგორიულად თხოვს. იმის გამო, რომ ზნეობის ნორმები კოდიფიცირებული არ არის, ხშირად რთულია იმის დადგენა თუ კონკრეტულად რომელ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება გარიგება. ეს მოსამართლეს სირთულეებს უქმნის, მაგრამ მოსამართლეც ამ საზოგადოების წევრია და კარგად იცნობს მორალის ნორმებს. ანტიზნეობრიობის საფუძვლით გარიგების ბათილად აღიარებისთვის მთავარი ის კი არ არის რომ მოსამართლეს პირადად მიაჩნია ეს გარიგება ანტიზნეობრივად ან გარიგების ერთ-ერთი მხარე თვლის მას ამორალურად. საზომი უნდა იყოს ის თუ როგორ შეაფასებდა ხალხი ამგვარ გარიგებას, ეწინააღმდეგება თუ არა ის ზნეობრივ ნორმებს. ქართულ ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანახმად ხელშეკრულება მაშინ უნდა იქნეს აღიარებული ზნეობის საწინააღმდეგოდ როცა ეს იურიდიულად აუცილებელი და გარდაუვალია.

რაც შეეხება საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებებს, ეს ნორმა ქართულ სამართალში ფრანგული სამოქალაქო სამართლიდან შემოვიდა. საჯარო წესრიგის ცნებაში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლებანი, რომელთა დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილეების უფლებები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები.

#16

1) სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირები

კომერციული იურიდიული პირების სტატუსი სრულად არის მოწესრიგებული კანონში მეწარმეთა შესახებ. კომერციული იურიდიული პირის განსაზღვრისას კანონი მიმართავს ამომწურავი ჩამოთვლის პრინციპს. კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც განმტკიცებულია კანონში მეწარმეთა შესახებ. კანონით მოწესრიგებული იურიდიული პირები პირობითად ორ ჯგუფად იყოფა 1) ამხანაგობოს ტიპის საზოგადოებები და კომანდიტური საზოგადოებები. მათთვის დამახასიათებელია წევრობაზე აგებული ურთიერთობები ისე, რომ იურიდიული პირის წევრები მათი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პირადად თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს.

მეორე ჯგუფს შეადგენენ ე.წ კაპიტალური საზოგადოებები. ასეთ საზოგადოებებში პარტნიორები პასუხს არ აგებენ საზოგადოების კრედიტორების წინაშე, მაგრამ კრედიტორების დასაცავად აუცილებელია მინიმალური ქონების - კაპიტალის არსებობა. ამ ტიპის საზოგადოებებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი და ა.შ

2) სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა

სუბსუმაცია - ქართულ სამართალში ეს ცნება გულისხმობს სამართლის გამოყენების მეთოდს, რომლის საფუძველზეც ხდება ნორმების მისადაგება კონკრეტული ცხოვრებისეული შემთხვევისადმი. სრულიად არ არის საკმარისი რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იყოს სამართლიანი, იგი ამავდროულად უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან.

სამოქალაქო სამართალში იურისტის ძირითად სამუშაო ინსტრუმენტს წარმოადგენს მოთხოვნა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს (მოთხოვნის კანონისმიერი საფუძველი) ან ხელშეკრულებიდან (მოთხოვნის სახელშეკრულებო საფუძველი) მხოლოდ ასეთი საფუძველის არსებობით და მათზე დაყრდნობით შეიძლება აიძულოს სასამართლომ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესასრულებლად. ასევე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა პირობების არსებობისას წარმოიშობა პირთა კონკრეტული უფლებები და მოვალეობები. ამას შემადგენლობის ნიშნები ან შემთხვევის აღწერა ეწოდება. კონფლიქტის გადასაწყვეტად მხოლოდ შემადგენლობის, შემთხვევის ნიშნების აღწერა არ არის საკმარისი. აუცილებელია იმ სამართლებრივი შედეგის დაფიქსირებაც , რომელიც ამ შემადგენლობას მოსდევს.

იურისტმა ამ მრავალფეროვანი ურთიერთობებიდან უნდა გამოყოს მთავარი, დავის გადაწყვეტისთვის რელევანტური ეპიზოდები და მოუძებნოს მალ სამართლებრივი საფუძველი. ეს კი ხდება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის შემოწმების გზით. შემოწმება საგნობრივი და შედეგიანი რომ იყოს, აუცილებელია რამდენიმე საკვანძო კითხვის დასმა და პასუხის გაცემა : ვინ ითხოვს , რას ითხოვს, ვისგან ითხოვს, რის საფუძველზე ითხოვს. ამის გარკვევის შემდეგ უნდა მოიძებნოს სამართლებრივი საფუძველი და საბოლოოდ ვიღებთ შესამოწმებელი ფაქტობრივი შემადგენლობის აღწერას. ეს შემადგენლობა შემდეგ დაწვრილებით უნდა შემოწმდეს ცალკეული ნორმების მიხედვით . შემოწმება არ შეიძლება სპონტანურად განხორციელდეს, ის უნდა ექვემდებარებოდეს განსაზღვრულ ლოგიკას, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს სამართლებრივ შედეგამდე და მოგვცეს პასუხი საკვანძო კითხვაზე.

#17

1) ზოგადი და სპეციალური კანონები. მათი ურთიერთმიმართება

2) გარიგების ფორმა

გარიგების ფორმის ცნება შეიძლება გამოყენებული იყოს ვიწრო და ფართო გაგებით. ფართო გაგებით ის გულისხმობს გარიგებას როგორც ზეპირად, ისე წერილობით. ვიწრო გაგებით კი მასში მხოლოდ წერილობითი ფორმის სახეები მოიაზრება. გარიგების ფორმა, ნების გამოვლენის არსებობის გარეგნული გამოხატვაა , რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგს უკავშირებს. გარიგების მონაწილეებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ გარიგების ფორმა, თუმცა ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა გარიგების ფორმას კანონი პირდაპირ ადგენს. გარიგების ფორმის ფუნქციის ორ ასპექტს გამოყოფენ : მტკიცების გაადვილება და განზრახვის სერიოზულობის დადასტურება. გარიგების ფორმის დახასიათებისას მნიშვნელოვანია მისი განხილვა ერთ შემთხვევაში , როგორც გარიგების ერთ-ერთი ატრიბუტის , მეორე შემთხვევაში როგორც აბსოლიტური ფორმის. როცა გარიგების ფორმა მხოლოდ გარიგების ატრიბუტად მოიაზრება, მისმა დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს

გარიგების ბათილობა, ხოლო როდესაც აბსოლიტური ფორმის ფუნქციას ასრულებს, მაშინ მისი სამართლებრივი მნიშვნელობა განსხვავებულია. მისი დაუცველობა არა ბათილობის ,არამედ ასეთ გარიგებას საერთოდ გარიგებად არ მიიჩნევენ. გარიგების იმ ფორმის მიმართ, რომლის არეჩვა გარიგების მონაწილეებს თვითონ შეუძლიათ, კანონი რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს. რაც შეეხება კანონით დადგენილი ფორმის გათვალისწინებით დადებული გარიგებები მრავლადაა საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში. განასხვავებენ გარიგების წერილობით და ზეპირ ფორმას ყველაზე ზოგადად, უფრო ვიწროდ კი განასხვავებენ გარიგების სანოტარო ფორმას , გარიგების ელექტრონულ ფორმას და ა.შ.

18

1) შეცდომით დადებული გარიგების ცნება. მოტივში შეცდომის მნიშვნელობა.

შეცდომის შესახებ თანამედროვე მოძღვრების ამოყალიბება უკავშირდება სავინის სახელს. მის თანახმად, შეცდომით განხორციელებული ნების გამოვლენა არ არის ნამდვილი, ვინაიდან ამ გარეგნული გამოხატულების უკან არ დგას ნამდვილი ნება.

ნების ნაკლმა შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. კანონი გარიგების საცილოდ გახდომის საფუძვლად მიიჩნევს მხოლოდ არსებით შეცდომას. შეცდომით დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დაწვრილებითაა მოწესრიგებული. გარიგების დადებისას მოტივი ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გარიგების მოტივებს განეკუთვნება ისეთი წარმოდგენები, რომელსაც გარიგების ერთ-ერთი მონაწილე იქმნის გარიგების სხვა მონაწილეზე ან გარიგების საგნის თვისებების თაობაზე. მოტივში შეცდომისას სახეზეა არა შეცდომა ნების გამოვლენაში , არამედ ნების ფორმირებაში. შეცდომა გარიგების მოტივში არსებითად ითვლება მხოლოდ მაშინ , როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა. როგორც წესი , გარიგების მოტივის საკითხი დაკავშირებულია ან გარიგების კონტრაქტის პიროვნებასთან ან გარიგების საგნის ძირითად თვისებასთან. ამიტომ ხშირად რთულია იმის გამიჯვნა, თუ როდის გვაქვს შეცდომა გარიგების მოტივში და როდის შეცდომა პიროვნების ან საგნის ძირითად თვისებაში.

2) საცილო და უცილოდ ბათილი (არარა), ნაწილობრივ ბათილი და მერყევად ბათილი გარიგებანი.

გარიგებათა ერთი ჯგუფი დადების მომენტში ნამდვილია, მაგრამ შეცილების შედეგად კარგავს იურიდიულ ძალას. ასეთ გარიგებას ეწოდება საცილო გარიგება. ბათილისაგან განსხვავებით საცილო გარიგება დადების მომენტიდან ნამდვილია, მისი ბედი დამოკიდებულია იმაზე გაასაჩივრებს თუ არა გარიგების მხარე მას. თუ ეს მოხდა მაშინ გარიგება დადების მომენტიდან ჩაითვლება ბათლად. საცილო გარიგებების ყველაზე გავრცელებული სახეა შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებანი. შეცილება , რომელიც იწვევს გარიგების ბათილბას, ცალმხრივი გარიგების ნიმუშიცაა.

არარა გარიგებები ბათილი გარიგებების ყველაზე მკაცრი ფორმაა. ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგი არ დადგება არც მხარეებისათვის და არც მესამე პირის მიმართ .

ის დადებისთანავე ბათილია და კანონი არ ითვალისწინებს მისი გამოსწორების შესაძლებლობას. ამით განსხვავდება ის მერყევი გარიგებებისაგან. როდესაც არ არა გარიგებაზე საუბარი ის არ უნდა იქნება გაგებული ნულად, მართალია, გარიგება ბათილია, მაგრამ ის განხორციელებული აქტია, ის როგორც ქმედება სამართლებრივ შედეგებს იწვევს, მაგრამ არა იმას რაც გარიგების მხარეებს ჰქონდათ განსაზღვრული. კანონი ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ გარიგების მხარეებმა სამართლით შემოთავაზებულ ფარგლებში მიაღწიონ დასახულ მიზანს. ამ შესაძლებლობას სამოქალაქო კოდექსი „დადასტურებას“ უწოდებს. ეს ნიშნავს ახალი გარიგების დადებას. არ არა გარიგების დადასტურება მხარეების მიერ მართალია არ იწვევს ამ გარიგების რეალურად გადაქცევას, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ გარიგებით მოსალოდნელი სარგებელი ერთმანეთს პირველი გარიგების დადების დროიდან მიანიჭონ.

არის შემთხვევები, როდესაც გარიგების მონაწილეები მთლიანად გარიგების ბათილობას მოითხოვენ, თუკი ამ გარიგების რაიმე ნაწილი ბათილად იქნება მიჩნეული. განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს ითვალისწინებენ თუ არა ამ გარიგების მონაწილეები იმის შესაძლებლობას, რომ გარიგების ერთი ნაწილის ბათილობამ არ გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა. ასევე მნიშვნელოვანია საკითხი თუ რამდენად არსებითია გარიგებისთვის ის ნაწილი რომელიც ბათილად არის მიჩნეული. ნაწილობრივად ბათილი გარიგებების შეფასებისას არა მხოლოდ გარიგების მონაწილეთა ნებაა მნიშვნელოვანი. როდესაც კანონი ამბობს გარიგების დადების შესაძლებლობაზე მისი ბათილი ნაწილის გარეშე, იგულისხმება რომ ეს ნაწილი არ უნდა იყოს ისეთი რომ ბათილობა გამოიწვიოს.

მერყევად ბათილ გარიგებებს მიეკუთვნება არასრულწლოვანის მიერ დადებული თითქმის ყველა გარიგება, ასევე გარიგებები რომლებიც მესამე პირის, ან სახელმწიფოს თანხობას საჭიროებენ. მერყეობა იმაში გამოიხატება რომ, ისინი მერყეობენ ნამდვილობასა და ბათილობას შორის. თუ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა შესრულდა გარიგება ქინება ნამდვილი, თუ არა - ბათილი.

#19

1) სახელის უფლება

ყოველი სამართლებრივი ურთიერთობა როგორც წესი ყოველთვის კონკრეტულ სახელთან არის დაკავშირებული და ამის მეშვეობით - კონკრეტულ პირთან. ამიტომ სახელი ადამიანთა იდენტურობის ძირითადი საშუალებაა და სამოქალაქო სამართალი მას ცალკე დაცვის ღირსად მიიჩნევს. სახელში იგულისხმება ადამიანის საკუთარი სახელი და გვარი. სამოქალაქო სამართლით განმტკიცებულ სახელის უფლებას სამოქალაქო სახელი ეწოდება. ესაა სახელი, რომელსაც ყოველი უფლებაუნარიანი ადამიანი ატერებს სამოქალაქო, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში თავისი ინდივიდუალურობის აღსანიშნავად. სამოქალაქო სახელსაგან უნდა განვასხვავოთ იურიდიული პირის სახელწოდება, ასევე სავაჭრო ანუ კომერციული სახელი. თანამედროვე სამოქალაქო სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად სახელის უფლება პირადი და

აბსოლიტური უფლებაა. ამ თვალსაზრისის ისიც ადასტურებს რომ თითქმის ყველა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი ამ უფლებას პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების ნაწილში აწესრიგებს. სახელის დაცვის უმთავრესი დანიშნულებაა სახელის არასწორი გამოყენების შედეგად არსებული გაუგებრობის თავიდან აცილება. სახელის უფლების განხილვას პირადი არაქონებრივი უფლებად არ უნდა შეუშალოს ხელი მის აღიარებას არამატერიალურ ქონებრივ უფლებადაც. განსაუთრებით მაშინ, როცა სახელი კომერციულ უთრთიერებებში გამოიყენება. პირადი არაქონებრივი უფლებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი ისაა, რომ მათი გადაცემა შეუძლებელია სხვა პირისთვის ე.ი იგი განეკუთვნება გადაცემაუნარო უფლებების კატეგორიას. დაუშვებელია ადამიანებს შორის ისეთი გარიგება, რომლითაც ერთი კისრულობს ვალდებულებას თავისი სახელი გადასცეს მეორეს და ამ უკანასკნელმა ატაროს ეს სახელი. სახელის შექმნის საფუძვლებს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს, მათ განეკუთვნება დაბადება, დაქორწინება, სახელის შეცვლა ნებაყოფლობით.

2) შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების მიერ დადებული გარიგებანი.

მართალია, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ გარიგების დადებისთვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ მიუხედავად ამისა ცალკეულ შემთხვევებში იგი უფლებს მოსილია დამოუკიდებლადაც დადოს გარიგებები, ეს მნიშვნელოვნად განასხვავებს მას ქმედუნარო პირისაგან. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მიერ დადებული ნამდვილი გარიგებების ზოგ სახეს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს. გარიგება, რომლითაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იღებს სარგებელს, არ მოითხოვს წარმომადგენლის თანხმობას. აღიარებული შეხედულების თანახმად, როცა გარიგებას დებს არასრულწლოვანი, საკითხი იმის შესახებ ამ გარიგებამ სარგებელი მოუტანა თუ არა მას უნდა გადაწყვიტოს მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, შეფასებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მხოლოდ ეკონომიური მხაერე, არამედ პედაგოგიური აასპექტიც. არასრულწლოვანის მიერ დადებული ნამდვილი გარიგებების ჯგუფს მიეკუთვნება გარიგებები, რომელთა დასადებად არასრულწლოვანმა განკარგა ის საშუალებანი, რომელიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან, წარმომადგენლების თანხმობით, სხვა პირებმა.

ყველა სხვა გარიგება, რომელთაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ჩათვლება ბათილად. თუმცა ეს ბათილობა სწორდება კანონიერი წარმომადგენლის მოწონებით, ე.ი თუ კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ დადებულ გარიგებას, ეს გარიგება გახდება ნამდვილი ამიტომ ეს გარიგებები განეკუთვნება ან საცილო გარიგებებს ან მერყევად ბათილ გარიგებებს.

1) არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნება და რეგისტრაცია.

არასამეწარმეო იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციას აწარმოებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. რეგისტრაციას ექმევედებარება არა მხოლოდ იურიდიული პირის დაფუძნება, არამედ სარეგისტრაციო მონაცემთა ყოველგვარი ცვლილება. ცვლილებები რეგისტრაციის ვალდებულება ვრცელდება ასევე ფილიალებზეც. სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება არაკომერციული იურიდიული პირის ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პროცესი. რეგისტრაციას არამხოლოდ იურიდიული პირის წარმოშობისთვის აქვს მნიშვნელობა, მას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საიმედოობის უზრუნველყოფის საქმესი. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის მონაცემები საჯაროა ანუ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. როგორც იურიდიული პირის რეგისტრაციას აქვს მნიშვნელობა, ასეთივე მნიშვნელობა აქვს რეგისტრაციის გაუქმებას. რეგისტრაციის გაუქმება იწვევს იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტას. რეგისტრაციის გაუქმების რამდენიმე საფუძველს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსი: 1) სასამართლოს გადაწყვეტილება 2) ლიკვიდაცია 3) სარეგისტრაციო მონაცემთა ხარვეზი. სასამართლო გადაწყვეტილება არაკომერციული იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ მიიღება ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დაგენილი წესით, ასევე იმ შემთხვევებში თუ იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე და მარეგისტრირებული ორგანო ან დაინტერესებული პირი სარჩელით მიმართავენ მას. (შეგიძლიათ სადამფუძნებლო დოკუმენტზე დაწეროთ #15 – 1 საკითხში წერია)

2) პირობითი გარიგებები

როგორც წესი მხარეები გარიგების დადებისთანავე იწყებენ მის შესრულებას. მარგამ ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი გარიგებით გათვალისწინებული შედეგების დადგომას უკავშირებენ განსაზღვრული გარემოებების არსებობას. ვინაიდან გარიგების შედეგების დადგომა ამ გარემოებების არსებობაზეა დამოკიდებული, სამოქალაქო სამართალი ასეთ გარიგებებს პირობით გარიგებებს უწოდებს. პირობითად ითვლება გარიგება როდესაც ის დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ან გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე. გარიგებით გათვალისწინებული შედეგების დადგომა რამდენიმე პირობაზე არის დამოკიდებული, ეს პირობები შეიძლება იყოს როგორც კუმულატიური, ასევე ალტერნატიული. კუმულატიური პირობის დროს აუცილებელია ყველა იმ პირობის არსებობა, რომელიც გარიგების ნადმვილობის პირობად არის დასახელებული. ალტერნატიული პირობის შემთხვევაში გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია ერთ - ერთი რომელიმე პირობის დადგომა. გარიგება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება პირობითად თუ

მისი ნამდვილობა დამოკიდებულია ისეთ მოვლენაზე, რომელიც მომავალში უნდა დადგეს, მაგრამ გარუკვეველია დადგება თუ არა ეს მოვლენა სინამდვილეში

#21

1) საცხოვრებელი ადგილის ცნება

საცხოვრებელი ადგილი პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის ერთ-ერთი უძველესი საშუალებაა. სამოქალაქო კოდექსი პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევს ადგილს, რომელსაც „იგი ჩვეულებრივად საცხოვრებლად ირჩევს“. ჩვეულებრივ საცხოვრებლად გაიგება პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელი. საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევისთვის მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა არ არის საკმარისი, მას თან უნდა ახლდეს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. ეს რომ ასე არ იყოს საცხოვრებელ ადგილად უნდა მიგვეჩნია ციხე ან საავადმყოფო.

საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს ე.ი ფიზიკურ პირს. იურიდიული პირის გეოგრაფიული მდებარეობის აღსანიშნავად კანონი იყენებს ადგილსამყოფელის ცნებას. შესაძლებელია, რომ პირის საცხოვრებელი ადგილი და მისი სამეწარმეო საქმიანობის ადგილსამყოფელი ერთმანეთს ემთხვეოდეს. საცხოვრებელი ადგილის ცნება შეიძლება განსხვავებული იყოს იმის მიხედვით თუ სამართლის რომელ დარგთან გვაქვს საქმე.

2) თანხმობა გარიგებებში.

სამოქალაქო სამართალში არსებულ გარიგებათ ერთი ჯგუფის ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ გარიგების მონაწილეთა ნების გამოვლენა. იმისთვის, რომ ამ გარიგებებს იურიდიული ძალა მიეცეთ, აუცილებელია მესამე პირების თანხმობაც. თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობა, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით, არ შეიძლება იმის დადგენა, რომ გარიგების ნამდვილობა შეიძლება დამოკიდებული იყოს „ვიდაცის“ თანხმობაზე. მიუხედავად იმისა, რომ თანხმობა გარიგების ნამდვილობაზე გავლენას ახდენს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ეს არ გამორიცხავს მხარეთა შესაძლებლობას ამა თუ იმ პირის თანხმობა გარიგების ნამდვილობის, უფრო ზუსტად, გარიგების დადების წინაპირობად აღიარონ. მაშასადამე, თანხმობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა, უნდა განვასხვავოთ იმ თანხმობისაგან, რომლის არსებობასაც გარიგების მონაწილეები გარიგების სამართლებრივ შედეგებს უკავშირებენ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში თანხმობა გარიგების ნამდვილობის პირობა კი არ არის, არამედ გარიგების შინაარსის შემადგენელი ნაწილი.